პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ნოემბერი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 267 (15480)

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ცხოვრების ყველა დარგში!

კადრებს— პარტიული ზრუნვა

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურის კადრების შერჩევის, განაწილების, აღზრდის შემდგომი გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პარტიული საქმეა, რომლის წარმატებაზეც ბევრად არის დამოკიდებული სახალხო კეთილდღეობის განუხრელი ზრდა.

ახლოვდება დიდი და სახიხარული დღესასწაული — საბჭოთა კავშირის 50 წელი. შრომის ადამიანები — ქარხანა-ფაბრიკების მუშები, მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელები, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია ემზადებიან რათა ღირსეულად, ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებით შეხვდნენ მას. ისინი არ ზოგავენ ძალებს, ენერგიას, ავლენენ მაქსიმალურ ყურადღებასა და მზრუნველობას იმისათვის, რომ თვითეულ უბანზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში სუფევდეს აღშენებლობის ატმოსფერო, ნამდვილი კომუნისტური შემოქმედების ატმოსფერო. ამის დადასტურებაა მასების განუწყვეტლივ მზარდი აქტივობა, ხალხის ინიციატივა, რომელიც ყოველდღე სულ უფრო ფართოვდება. ჩვენს რესპუბლიკაში ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნისა და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივების თაოსნობამ — დაიწყონ ფართო მოძრაობა შრომის მაღალი დისციპლინისათვის, გააჩაღონ ბრძოლა წესის მკეთებლების, ფრენებისა და მუქთახორების წინააღმდეგ, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევათა წინააღმდეგ.

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნისა და ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივების პატრიოტული ინიციატივის შესახებ, რომლებიც წინასაიუბილეო ვახტზე დადგნენ დევიზით „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს — 50 დამკვრელი შრომითი დღე“. ამის პასუხად სოციალისტური შრომის 50 გმირმა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მიმართა მოწოდებით მხარი დაუჭირონ ქართველ მუშათა შესანიშნავ თაოსნობას.

ეს ფაქტები ჩვენი მშრომელების მაღალ შეგნებულობას მოწმობს. ისინი ადასტურებენ, რომ მშრომელი ადამიანებისათვის სულ ერთი არ არის სად, რა და როგორ კეთდება. ისინი ვერ ურიგდებიან და არც ხურთ შეურიგდნენ წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე ნაკლოვანებათა და დაუდევრობათა არსებობას.

თვითეულ ჩვენგანს შეგნებული აქვს, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიად ამოცანათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭიროა დიდი, რთული, თავდადებული მუშაობა. მას უფრო მეტი წარმატება ექნება, რაც უფრო აქტიური, კვალიფიციური იქნება პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ყველა რგოლში. ამ ამოცანათა გადაჭრაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრების უდიდესი როლი. კადრების საკითხს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს პარტიული მშენებლობის ნორმებსა და პრინციპებში.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული წარმოების ზრდის ტემპის უზრუნველყოფის ღონისძიებანი“. აღნიშნა რა, რომ ჩვენს ეკონომიკაში ძირითადი საკომნდო პოსტები ხიმდო ხელშია, პლენუმმა ამასთან ერთად ხაზი გაუსვა, რომ კადრების დარგში პოლიტიკის განხორციელებაში, კადრების შერჩევასა, განაწილებასა და აღზრდაში ჯერ კიდევ ბევრია ნეგატიური მოვლენა, რაც სწორად აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

განიხილა რა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ამ საქმის ხელმძღვანელობის დონე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს. აფხაზეთის პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს და მათს ადგილობრივ ორგანოებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხები ჯერ კიდევ არ გამხდარა მათი მუდმივი ზრუნვის საგანი. აქ კვლავ არ იჩენენ ჭეროვან სიმტკიცესა და მომთხოვნელობას ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები კადრების საკითხების გადაწყვეტისას უშვებენ უარისეობობის, ლიბერალიზმის ფაქტებს, რის შედეგადაც პასუხსაგებ თანამდებობებზე საკმაოდ ხშირად ინიშნებიან სუსტი, უინიციატივო, ზოგჯერ კი წინათ კომპრომეტირებული მუშაკები, რომლებსაც სახელი აქვთ გატეხილი საძრახისი საქმეებით. სოხუმის საქალაქო, გაგრის, გუდაუთის და მთელ რიგ სხვა რაიონების პარტორგანიზაციებში დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, როცა ცალკეულ პირებს, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს საქმეს ან დანაშაულიც კი ჩაიდინეს წინანდელ სამუშაოზე, შემდეგში ნიშნავენ არანაკლებ პასუხსაგებ თანამდებობაზე. ეს ნიშნავს კადრებთან მუშაობის ლენინური პრინციპებისაგან ჩამოშორებას. როგორ შეიძლება შევაფასოთ, მაგალითად, ასეთი ფაქტი? საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, „სოხუმკვებეაკრობის“ სისტემაში სახალხო-მატერიალურ ფასეულობათა დიდი დანაკლისისათვის სამუშაოდან მოხსნა და სასტიკი საყვედური გამოუცხადა „სოხუმკვებეაკრობის“ დირექტორს ე. აგრბას და მის მოადგილეს კ. მატუას. მაგრამ შემდეგში აგრბა დანიშნულ იქნა ენინერმაღის დირექტორად, ხოლო მატუა სადგურ კელასურის გაერთიანებული საგზაო რესტორნის დირექტორად. სრულიად შეუწყნარებელია აგრეთვე აფხაზეთის ასსრ ვაჭრობისა და მოსახელობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში იმ პირთა მიღების ფაქტები, რომლებიც წინათ მსჯავრდადებული იყვნენ სხვადასხვა ანგარებითი დანაშაულისათვის.

საჭიროა აღინიშნოს მეტად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა აფხაზეთის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსი და აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირისა, რომლებმაც პარტიული კომიტეტების მხრივ უკონტროლობისა და არასაკმაო მომთხოვნელობის შედეგად, არსებითად ჩაშალეს კადრებთან მუშაობა, უშვებენ უაღრესად უხეშ დამბინძურებებსა და შეცდომებს ამ საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ანალიზი გაუკეთა რა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მდგომარეობას ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში, ეს მუშაობა ცნო არადამაკმაყოფილებლად, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს ამხ. ა. ძაძუას გამოეცხადა საყვედური საალიბაბოვო ბარათში შეტანით; დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლა აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. რ. ხიკუბა და აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარე ამხ. ნ. კობახია. ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დააბა დაშიებული სერიოზული დარღვევათა და მათ მიერ წარმოშობილ მიზეზთა აღმოფხვრის გზები.

კადრებთან მუშაობა პარტიული საქმეა. განზოგადებებსა და დასკვნებს, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მიმართ გააკეთა, პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც ანალოგიური ნაკლოვანებანი დამახასიათებელია ბევრი სხვა პარტიული კომიტეტებისათვისაც. მაშასადამე, ისინი მოქმედების სახელმძღვანელო უნდა გახდნენ პარტიის ყველა რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტებისათვის, ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის. საჭიროა პრაქტიკიდან ამოირიცხოს ფაქტები, როცა კადრებთან მუშაობაში არ ითვალისწინებენ პარტიის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ მუშაკთა შეფასებაში მთავარი კრიტერიუმები უნდა იყოს მათი პოლიტიკური სიმწიფე, კვალიფიკაცია, მორალური სახე და თანამედროვე პირობებში მასებისადმი ხელმძღვანელობის უნარი.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის როლი და პასუხისმგებლობა თავის მეურნეობაში საქმეთა მდგომარეობისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ ისინი სრულად იყენებდნენ სკკპ წესდებით მინიჭებულ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას, მეტი მომთხოვნელობით ეკიდებოდნენ საწარმოთა, წარმებლობათა, ვაჭრობის ობიექტთა, მომსახურების სფეროს ხელმძღვანელებს.

კომუნისტური მშენებლობის უდიდესი მასშტაბები, მასების შეგნებულობის ზრდა მოითხოვს ხელმძღვანელობის ყველა რგოლის ზუსტ მუშაობას. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პირველ რიგში პარტიულ კომიტეტებს, რომლებიც მოვალენი არიან ძირითადი უურადღება დაუთმონ ორგანიზატორულ მუშაობას, კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების კონტროლს, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას, რისთვისაც საჭიროა მათთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, გამდიდრება. დიდმნიშვნელოვან მოთხოვნებს უყენებენ სათანადო რესპუბლიკურ სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც, როგორც აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში, არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ ვაჭრობის, ყოფაცხოვრების კადრების განმტკიცებისათვის გამოცდილი, კეთილსინდისიერი, საქმის მცოდნე ადამიანებით, ამ დარგებში სამუშაოდ ქალების ფართოდ მიზიდვისათვის.

დღითიდღე ხულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება კეთილმყოფელი გავლენა ცვლილებებისა, რომლებიც ხდება პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა განხორციელების საფუძველზე. იზრდება კომუნისტთა დაინტერესება თავიანთი ორგანიზაციის მუშაობით, ძლიერდება მათი პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის. პარტიულ ორგანიზაციებში ყველა პირობა იქმნება იმისათვის, რომ ჩაღდებოდეს კომუნისტთა აქტივობა, რომ ისინი გამდიდრულად აყენებდნენ მომწიფეულ საკითხებს, აშკარად და პირდაპირ ლაპარაკობდნენ ნაკლოვანებებზე, არა მარტო იღებდნენ გადაწყვეტილებებს, არამედ ცხოვრებაშიც ატარებდნენ მათ.

მაგრამ საჭიროა ანგარიშს ვაძლევდეთ საკუთარ თავს იმაში, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია გზისა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს იქამდე, რომ თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტები ნამდვილი დარსრულულლებიანი პატრონები იყვნენ. ამის მიღწევა შით უფრო სწრაფად შეიძლება, რაც უფრო გააუმჯობესებს ყველა პარტიული კომიტეტი, ყველა პარტიული ორგანიზაცია კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს, სრულიყოს ხელმძღვანელობის მეთოდებს, დაეუფლება მუშაობის ლენინურ სტილს.

მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 13 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის მდივანი, სამამული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გეორგი ტრაიკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტანკო ტოდოროვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტანო ცოლოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი პეტრე მლადენოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პაზარჯიკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დიმიტერ ეულევი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვის აეროდრომზე ბულგარეთის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ფ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, მ. ა. ელიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო, ნ. ს. პატოლიჩევი, ბ. პ. ბუგაევი, ა. მ. ტარასოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. კისელიოვი, სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე შემხვედრთა შორის იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში სტოიან გიუროვი, რომელიც შედის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში.

ბულგარელ მეგობართა ჩამოსვლის გამო ჩამწკრივებული იყო სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითად, მფრინავთა, მეზღვაურთა საპატიო ყარაული.

12 საათზე მოსკოვის დროით რეაქტიული ლაინერი აეროდრომზე ჯდება და შეხვედრის ადგილს უახლოვდება. საბჭოთა ხელმძღვანელები მიდიან თვითმფრინავის კიბესთან და გულთბილად, ძმურად მიესალმებიან ტოდორ ჟივკოვს, ბულგარეთის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, პიონერებმა სტუმრებს, ყვავილები მიართვეს. საპატიო ყარაულის უფროსი პატაკს აძლევს პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს ტოდორ ჟივკოვს. ჟღერს სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტოდორ ჟივკოვმა ჩამოიარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. აეროდრომზე მყოფი ოდიდქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ მომავე ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებს. გალისის შეძახილები საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბულგარელ მშრომელთა პატივსაცემად.

შეხვედრის საზეიმო ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის ჩამოვლით.

აეროდრომიდან მოტოკოლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები და საბჭოთა ხელმძღვანელები კრემლში გაემართნენ. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებითა და ტრანსპარანტებით მორთულ მთელ ტრასაზე მათ მხურვალედ შეესალმებოდა დედაქალაქის ათასეულ მცხოვრები. (საკდესი).

მოსკოვი. 13 ნოემბერი. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით. სურათზე: შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

საკდესის ფოტო (სურათი მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 13 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. პირიელეკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ხ. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმრებს სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ!
ძვირფასო ამხანაგო ტრაიკოვ!
ძვირფასო ამხანაგო ტოდოროვ!
ძვირფასო ბულგარელო მეგობრებო!

დიდ სიამოვნებას მგვრის გულითადად მოგესალმოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით. თქვენი სახით მივესალმებით ძმაძე სოციალისტური ბულგარეთის ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს.

პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების გაცვლა კარგ ტრადიციად იქცა სოციალისტურ სამყაროში. ჩვენ ერთმანეთს ვხედავთ, ცხადია, არა საოქმო თავაზიანობისათვის, არამედ იმისათვის, რომ გავუზიაროთ ერთმანეთს ახალი საზოგადოების შენებლობის გამოცდილება, ერთად განვიხილოთ აქტიალური საერთაშორისო პრობლემები, მოვითათბიროთ და გამოვიმუშაოთ საერთო პოზიციები ჩვენი თანამშრომლობის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ერთობლივი ბრძოლის ყველა საკითხზე.

აი დღესაც განვიხილეთ საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი პარტიებისა და ქვეყნებისათვის. მოლაპარაკების შედეგები უთქვეულად ახალ იმპულსს მისცემენ ჩვენი თანამშრომლობის განვითარებას სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

ბულგარელმა ამხანაგებმა დაწვრილებით გაგვაცნეს, თუ როგორ სრულდება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებანი. მოხარული ვართ, რომ მომძე ბულგარეთის ხალხი წარმატებით წყვეტს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ცხოვრების დონის ამაღლების საკითხებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებასთან დაკავშირებული ამოცანების მთელ კომპლექსს. სოციალისტური ბულგარეთის მიღწევები ბულგარეთის კომპარტიისა და მისი ერთგული მოკავშირის — ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის სწორი პოლიტიკური კურსის თვალსაჩინო დადასტურებაა.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, უკანასკნელი წლები ასევე დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები პერიოდი იყო. ჩვენ წარმატებით მივდიეართ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გზით: საბჭოთა ინდუსტრიას თანმიდევრულად ექმნება ახალი ტექნიკური ბაზა, ამასთან ეს პროცესი მოიცავს როგორც ძმიმე, ისევე მსუბუქ მრეწველობას; სულ უფრო თანამედროვეს ტექნიკით მარაგდება ჩვენი სოფლის მეურნეობა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მუშაობა ირიგაციისა და მელიორაციისათვის.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელი კლიმატური პირობების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში უპრეცედენტოდ რთული აღმოჩნდა. მაგრამ, პარტიის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და საბჭოთა ადამიანების თავდადებული მეცადინეობის მეოხებით ეკუდად როდი გავართვით თავი წარმოქმნილ სიძნელეებს. მოსახლეობის ნორმალური მომარაგება უზრუნველყოფილ იქნება. ჩვენს სოფლის მეურნეობას მოეპოვება მომავალი წლის მოსავლისათვის წარმატებული ბრძოლის შესაძლებლობანი.

ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მთლიანად ჩვენი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა არსებითად გაიზარდა. ამის მეოხებით შესაძლებელია პარტიის ყრილობის მიერ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის დასახული ამ დიდი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ჩვენი პარტიის ეკონომიური პოლიტიკის საფუძველს, მეცხრე ხუთწლედის მთავარ ამოცანას წარმოადგენენ.

ჩვენი ქვეყანა ახლა ეგებება დიდ დღესასწაულს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღის ღირსეულად აღნიშნისათვის, რომ ემზადებიან, საბჭოთა ადამიანებმა გააჩაღეს მასობრივი მოძრაობა საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. და გვჯერა, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ეს იქნება კარგი საჩუქარი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის, კარგი წვლილი კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

ჩვენი მიღწევები, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების მიღწევები, განუყოფელია ძმური თანამშრომლობისაგან, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში ვითარდება როგორც ორმხრივ, ისევე მრავალმხრივ საფუძველზე.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება საშალებას გვაძლევს ორგანულად შევუხამოთ ერთმანეთს ჩვენი ქვეყნების ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესები. ჩვენ ერთი საერთო მიზანი გვაქვს. ჩვენ სამარადისოდ დაუკავშირეთ ჩვენი ბედი ლენინის საქმეს, სოციალიზმის საქმეს. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბულგარეთის მეგობრობა კრისტალივით წმინდაა, და ვერაფერი ვერ შეარყევს მას.

სსრ კავშირისა და ბულგარეთის ყოველმხრივ კავშირ-ურთიერთობას რომ ვავითარებთ, ჩვენ განუხრელად ვითვალისწინებთ სოციალისტური ქვეყნების საერთო ინტერესებს. როგორც ჩანს, ჩვენს მეგობრებს ზომძე ქვეყნებში, ჩვენს კლასობრივ ძმებს მთელ მსოფლიოში საფუძველი აქვთ კეთილი სიტყვა თქვან ბულგარელი და საბჭოთა კომუნისტების შესახებ, ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ჩვენი ერთგულების შესახებ, ყოველივე იმის შესახებ, რასაც ვაკეთებთ მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი პოზიცია საერთაშორისო საქმეებში ნათელი და გარკვეულია. ჩვენ მუდამ ვიყავით და ვართ იმათ მხარეზე, ვინც იბრძვის ნაგრძნა და აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის; ჩვენ მუდამ ვიყავით და ვიქნებით შეურიგებელნი იმპერიალიზმის პოლიტიკის ყოველგვარი აგრესიული გამოვლინებისადმი, რომელიც მუდამ ხალხთა ნამდვილი განთავისუფლების საქმის მტერია. ამასთან ჩვენ, ლენინის ანდერძის ერთგულნი, აქტიურად ვიბრძვით იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, მათი სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების მიუხედავად, რათა სახელმწიფოთა შორის უთანხმოება წყდებოდეს ძალის გამოუყენებლად, მოლაპარაკებით.

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკება

13 ნოემბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა.

მოლაპარაკების დროს დელეგაციებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი ქვეყნების მდგომარეობა, აგრეთვე ის, თუ როგორ სრულდება ამოცანები, რომლებიც დგას სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინაშე, საბჭოთა და ბულგარელი ხალხების წინაშე სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

გაიმართა ამხანაგური აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების გზების შესახებ, სრული ურთიერთგაგებისა და ურთიერთდაინტერესების ატმოსფეროში მხარეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება ეკონომიური ურთიერთობის მასშტაბის შემდგომ გაფართოებასა და ეფექტიანობის ამაღლებას. დელეგაციებმა განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების, ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური მეგობრობის, გულითადობის, ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა და პოზიციათა სრული ერთიანობის ვითარებაში.

(საკდესი).

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

(დასასრული)

ცების გზით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის სამყაროს იკავებენ, გამოხატავენ მთელი მსოფლიოს ხალხთა ნება-სურვილსა და ფიქრებს.

თანამიმდევრულ, პრინციპულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც განორციელებთ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, საგარეთნობი შედეგები მოაქვს.

ჩვენი პარტია მუდამ დიდ უურადღებას უთმობდა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს. ამის მიზეზები საესებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ევროპის მნიშვნელობას მსოფლიო საქმეებში.

ცნობილია, თუ რა მტკიცე, აქტიურ შუამბას ეწეოდნენ მთელი რიგი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოები უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევისათვის. სწორედ ჩვენმა ქვეყნებმა პირველმა წამოაყენეს ასეთი თათბირის მოწვევის იდეა და ჩამოაყალიბეს რეალისტური წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას. რამდენიმე დღის შემდეგ ჰელსინკში დაიწყება ევროპის სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მრავალმხრივი კონსულტაციები. უნდა დადგინდეს თათბირის მოწყობის კონკრეტული ვადები და წესი.

ჩვენ მიგესალმებით ამ გადასვლას სრულიად ევროპის თათბირის პრაქტიკული მომზადებისათვის, რომელმაც, ჩვენი რწმენით, უნდა შეიტანოს და შეუძლია კიდეც შეიტანოს დიდმნიშვნელოვანი წვლილი ევროპის მშვიდობისა და თანამშრომლობის საფუძვლების განმტკიცებაში მრავალი წლის მანძილზე.

ევროპის მშვიდობის განმტკიცების იდეას სულ ახალი მომხრეები ჰყავს. ამას გვიმოწმებს ბერლინ უკანასკნელ წლებში გამართული შეხვედრები საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან.

ახლა სხვაგვარად, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ, გამოიყურება ჩვენი ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ამ ურთიერთობის განვითარებისათვის ცოტა მუშაობა როდია გაწეული. მნიშვნელოვნად წაიწია წინ ეკონომიურმა თანამშრომლობამ, რომელსაც პოტენციურად დიდი მომავალი აქვს. დასახული გვაქვს დიდი და ძალზე პერსპექტიული პროექტები, რომლებიც ბევრ საკვებლობას მოუტანს ორივე მხარეს. ეწყობა კონსულტაციები საერთაშორისო საკითხებზე, და უნდა ითქვას, საქმისათვის სასარგებლოდაც. ერთი სიტყვით, ყველა წინამძღვარი გვაქვს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობა აღმავალი ხაზით ვითარდებოდეს. და ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში ურთიერთნდობის გარკვეული ბაზა შეიქმნა.

რა თქმა უნდა, დასავლეთ გერმანიაში დღესაც არიან და დიდ აქტივობას იჩენენ ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევენ ევროპაში დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება. მათ სურთ საქმე უკუღმა შეატრიალონ, დაუბრუნდნენ „ცივი ომის“, დაძაბულობისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფაქტიურ საერთაშორისო იზოლაციას. მაგრამ, როგორ შეიძლება, დღეკანდელ ევროპაში გაგებით მოეკიდონ ასეთ პოლიტიკას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება დროის სულისკვეთებას, ჩვენი დროის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების მთავარ მიმართულებას?

პოლიტიკური ხელშეკრულებები, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დაღებს საბჭოთა კავშირმა, და პოლონეთმა, დიდმნიშვნელოვანი შემობრუნების პუნქტი გახდა ევროპაში დაძაბულობის შენელების საერთო პროცესში. ის ფაქტი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებმა ახლა შეძლეს შეეთანხმებინათ ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძველებს, უეჭველად ახალი წვლილია კონტინენტზე პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების საქმეში.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელშეკრულებანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ, პარაფირება ხელშეკრულებისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ — ყოველივე ამით მარტო მათმა უშუალო მონაწილე სახელმწიფოებმა როდი მოიგეს. ამით მოიგეს მთელმა კეთილსინდისიერ ხალხმა, ვინაიდან მშვიდობა ევროპის კონტინენტზე უეჭველად უფრო განმტკიცდა. რაც შეეხება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ობიექტურ ადამიანებს არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ სწორედ ახლა, როცა იგი უფრო რეალისტური პოლიტიკის გზას დაადგა, მის ხმას უფრო ყურადღებით უსმენენ ყველგან მსოფლიოში.

ჩვენ არა გვაქვს, და არც შეიძლება გვქონდეს თანამშრომლობა დასავლეთგერმანელ სოციალ-დემოკრატებთან იდეოლოგიის საკითხებში. ყველამ იცის, რომ იდეოლოგიის დარგში ჩვენ სულ სხვადასხვა პლატფორმებზე ვდგავართ. მაგრამ დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში ვპოულობთ საერთო პოზიციებს — და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი მომავლისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ტენდენცია, რისთვისაც თანამიმდევრულად იღვწიან საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, ჩვენს დღეებში სულ უფრო გაბედულად იკაფავს გზას — და არა მარტო ევროპაში. ამის მოწმობენ, კერძოდ, სერიოზული ცვლილებანი უკეთესობისაკენ, რომლებიც უკანასკნელ დროს მოხდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. მეოთხედი საუკუნის „ცივი ომისაგან“ განსხვავებით, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, — იმ მხრივ, რაც შეეხება საერთაშორისო საკითხებს, — ძირითადად ჯარიმდა მოწოდებანი მშვიდობისმოყვარული რეალისტური საგარეო პოლიტიკისათვის. ეფიქრობთ, არჩევნების შედეგები მოწმობენ, სწორედ ასეთი პოლიტიკის მხარდაჭერას. ჩვენი მხრივ მზად ვართ განვაგრძოთ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების დაწყებული საქმე, კიდევ უფრო განვავითაროთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ჩვენ მიგვიჩნია, რომ ასეთი განვითარება შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საერთო პროცესის დიდმნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

გასაგებია, რომ მსოფლიო საზოგადოებრივობის უურადღება ახლა მიპყრობილია ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხისადმი. მთელი მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ, რომ დაბრკოლებანი, რომლებიც ამერიკის მხარემ შეთანხმების ხელმოწერის წინ შექმნა, დაძლეულ იქნას და ომს თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ბოლო მოეღოს უახლოეს ხანში. საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, როგორც ყოველთვის აქტიურად უჭერენ მხარს ამერიკის ადერესის წინააღმდეგ მებრძოლი ვიეტნამელი პატრიოტების სამართლიან საქმეს. ჩვენ ვესწრაფოდ ხელი შეეწყოთ ომის დამთავრებას და მივესალმებით მშვიდობის აღდგენას ინდოჩინეთში. როცა ეს მოხდება, მსოფლიო შვებით ამოისუნთქავს და მთლიანად საერთაშორისო ჰორიზონტი შესამჩნევად მოიწმინდება.

თუ მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში საშიში სიტუაციები და კონფლიქტები თანდათანობით გვარდება და სამშვიდობო პრაქტიკული სულ უფრო მკაფიოდ აღინიშნება, ამას სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ახლო აღმოსავლეთის შესახებ. იქ მდგომარეობა უწინდებურად არადამაკმაყოფილებელია, და ახალ ფეთქებათა საფრთხის ქმნის. ამ პრობლემის გადაჭრის გზა ერთია: ისრაელის შეწყვეტა, ისრაელის მთელი ჯარების გაყვანა მიტაცებული არაბული მიწებიდან. ამასთან დაუსჯელობით წოქრებებული ისრაელი იყენებს ამერიკის იმპერიალიზმის მხარდაჭერას და „ცივ ომიანობის“ მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოთხოვნებსა და ევროთანიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს. არ წყდება ისრაელის ყაჩაღური პროვოკაციები მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენ ისეთ დროში, როდი ვცხოვრობთ, როცა ისრაელ-ერებს შეუძლიათ დამშვიდებით იზეიმონ. ისტორია არაერთარ შემთხვევაში არ ასაბუებს მათ, და ადრესორებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ, თუ რა მსჯავრს გამოუტანს ისტორია. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა და ხალხებმა უნდა მიაღწიონ და მიაღწევენ კიდევაც ადრესიის შეწყვეტასა და მშვიდობის აღდგენას ახლო აღმოსავლეთში. ეჭვი არ გვეპარება, რომ არაბ ხალხთა კანონიერი უფლებები აღდგენილ იქნება.

ძვირფასო ბულგარელო მეგობრებო!

თქვენ მოგეწყოთ მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, შეხვედრდნი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ადამიანები, როგორც მუდამ, უაღრესად გულმხურვალედ უმასპინძლებენ მოძმე სოციალისტური ბულგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. გისურვებთ საინტერესო და ნაყოფიერ მოგზაურობას.

ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ ამხანაგების ტოდორ ჟივკოვის, გიორგი ტრაიკოვის, სტანკო ტოდოროვის საღეგრძელო, ყველა ჩვენი ძვირფასი ბულგარელი სტუმრის საღეგრძელო.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ცხოვრების ყველა დარგში!

— გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ახალ წარმატებებს!

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა.

ამხანაგ ჭოდორ ჟივკოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!
ძვირფასო ამხანაგო პოდგორნი!
ძვირფასო ამხანაგო კოსიგინ!
ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ღრმა მადლობა გადაეუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოიწვიეს საბჭოთა კავშირში, ჩვენი გულითადი მადლობა ეუძღვნა ალექსეი ბრეჟნევს კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც აქ თქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარელი ხალხის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ.

ძვირფასო ამხანაგებო!

განსაკუთრებული საამოვნებით ვსარულებ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს დავალებას, გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მოძმე საბჭოთა ხალხს ბულგარელი კომუნისტების, მთელი ბულგარელი ხალხის მგზნებარე ძმური სალამი.

ბულგარელი კომუნისტებისათვის, ბულგარელი ხალხისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის მეგობრობა და ურთიერთობა ისტორიული ბედი, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალიზმის გზით თავისუფალი და სწრაფი განვითარების საწინდარი, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უცილობელი ძირითადი კანონია. მაღე სრულდება სამი ათწლეული ბის შემდეგ, რაც ბულგარეთი გაბედულად და მტკიცედ დაადგა გზას, რომელიც საბჭოთა კავშირმა აღმოაჩინა და გაიარა.

დიად საბჭოეთზე დაყრდნობით ჩვენ უსაზღვრო ნდობით ვეიქცდით ლენინის პარტიის მდიდარ გამოცდილებას და შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში შევძელით დაგვეძლია სუფეულოვანი ჩამორჩენილობა, გამოგვეცალა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდი, შეგვექმნა სოციალისტური სოფლის მეურნეობა, აგვეშენებინა თანამედროვე სოციალისტური მრეწველობა.

ჩვენს ხალხს საფუძველი აქვს იამაყოს თავისი სოციალისტური მონაპოვრებით. ამავე დროს ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენს წარმატებებს უმეტესად უნდა ვუმადლოდეთ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბანუხრელ კურსს, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური თანამგზრობის ქვეყნების თანამშრომლობის, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციისა და შრომის საერთაშორისო განაწილების გაფართოებისა და გაღრმავებას და უწინარეს ყოვლისა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სულ უფრო მჭიდრო და უფრო სრულ დაახლოებას საბჭოთა კავშირთან ცხოვრების ყველა დარგში.

ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის მკიდრო ურთიერთობას გასაზღვრავენ აგრეთვე ჩვენი ორი ქვეყნის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტები, შეხვედრები და მოლაპარაკებანი. ბულგარეთის დელეგაციები ხშირად ჩამოდიან საბჭოთა კავშირში. და როგორც ყოველთვის, ახლაც საბჭოთა მეგზურებმა ყველაზე დიდი სიხარულისა და მღელვარების გრძნობით დავდგეთ ფეხი. ჩვენთვის შეხვედრები საბჭოთა ადამიანებთან, თქვენთან, დიდი მოძმე საბჭოეთის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან — ეს საქმიანი საუბრები და მოლაპარაკებაც არის და სოციალისტური მშენებლობის სკოლაც, შთაგონებაც ჩვენი ხალხისათვის, და ღრმა პირადი ზეიმიც.

სსრ კავშირში ჩვენი ახლანდელი ვიზიტის, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ჩვენი მოლაპარაკების დედაარსი და აზრი, მოკლედ რომ ვთქვათ, ის არის, თუ როგორ, განვამტკიცოთ და განვავითაროთ კიდევ უფრო ეფექტიანად ჩვენი მრავალმხრივი თანამშრომლობა, ჩვენი მეგობრობა.

ამხანაგებო!

ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიებსა და მთავრობებს შორის არსებობს სრული ერთობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყველა საკითხში. ეს ერთობა ძალიან დადასტურდა დღეს ორი დელეგაციის მოლაპარაკების დროს. ჩვენმა პარტიამ იმთავითვე თავის პროგრამად აღიქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეთხუთმეტი ყრილობის მიერ დამტკიცებული მშვიდობის პროგრამა. ჩვენ დიდად ეიფასებთ საბჭოთა კავშირის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის დიუცხრომელ და თანმიმდევრულ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ამ პროგრამის რაც შეიძლება სრულად განხორციელებას. ჩვენს პარტიასა და ჩვენს ქვეყანას თავიანთ შესაძლებლობათა კეთილობაზე საკუთარი წვლილი შეაქვთ ამ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პროგრამა და საქმიანობა გამსჭვალულია მთთვის ჩვეული უცვლელი კლასობრივ-ინტერნაციონალისტური მიდგომით, და იმპერიალისტური რეაქციისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტთა ვერაგიანი ანტისაბჭოური ცილისმწამებლური მონაჩმახი ვერ შერყვნის მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ და პრინციპულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის დაცვას.

ჩვენი ორი დელეგაცია სავსებით ერთსულოვნად აფასებენ იმას, რომ უკანასკნელ დროს ჩვენი პლანეტის ხალხებს საფუძველი აქვთ მეტი ოპტიმიზმით შეჰყურებდნენ მომავალს. ვიეტნამის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური ქვეყნების აქტიური და თანმიმდევრული პოლიტიკის მეოხებით, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დადებული უკვე ძალაში შესული ხელშეკრულებების მეოხებით, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის აქტიური თანამშრომლობის მეოხებით ევროპის კონტინენტი დგას ახალი ეტაპის ზღურბლზე. რომელიც შეიძლება შემობრუნების პუნქტი გახდეს და დაიყენოს ევროპა მტკიცე მშვიდობის, კოლექტიური უშიშროების, ფართო თანამშრომლობის გზაზე.

ახლა ევროპაში არ არის იმაზე უფრო აქტიფური ამოცანა, ვიდრე უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე ევროპის თათბირის მოწვევისა და მისი წარმატების უზრუნველყოფის ამოცანა. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა მზად არის, საბჭოთა კავშირთან და დანარჩენ ევროპულ ქვეყნებთან ერთად, ყოველი ღონე იხმაროს, რათა ჩვენი კონტინენტისათვის ამ მომავალმა ისტორიულმა ფორუმმა წარმატებით ჩაიაროს.

ჩვენ დადებითად ვაფასებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს და ხელმოწერილ დოკუმენტებს. ეს შედეგები ხელს უწყობენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის კიდევ უფრო ფართოდ დამკვიდრებას, შეესაბამებიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმის ინტერესებს.

საერთაშორისო ურთიერთობაში დადებითი მოვლენებისა და ტენდენციების არსებობის მიუხედავად, სადი ინალინი გვაგალებს არასოდეს არ დავიკარგოთ იმპერიალიზმის ანტიხალხური არსი, მისი აგრესიული მიზნისაგებანი. ისევე როგორც წინათ საერთაშორისო ვითარება მოითხოვს დიდ სიფხიზლესა და დაუცხრომელ ბრძოლას რეაქციისა და ომის ძალების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ გრძელდება ამერიკის იმპერიალიზმის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის, ისრაელის მთელი ჯარების გაყვანა მიტაცებული არაბული მიწებიდან. ამასთან დაუსჯელობით წოქრებებული ისრაელი იყენებს ამერიკის იმპერიალიზმის მხარდაჭერას და „ცივ ომიანობის“ მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოთხოვნებსა და ევროთანიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს. არ წყდება ისრაელის ყაჩაღური პროვოკაციები მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენ ისეთ დროში, როდი ვცხოვრობთ, როცა აგრესორებს შეუძლიათ დამშვიდებით იზეიმონ. ისტორია არაერთარ შემთხვევაში არ აპატიებს მათ, და აგრესორებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ, თუ რა მსჯავრს გამოუტანს ისტორია. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა და ხალხებმა უნდა მიაღწიონ და მიაღწევენ კიდევაც აგრესიის შეწყვეტასა და მშვიდობის აღდგენას ახლო აღმოსავლეთში. ეჭვი არ გვეპარება, რომ არაბ ხალხთა კანონიერი უფლებები აღდგენილ იქნება.

ძვირფასო ბულგარელო მეგობრებო!

თქვენ მოგეწყოთ მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, შეხვედრდნი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ადამიანები, როგორც მუდამ, უაღრესად გულმხურვალედ უმასპინძლებენ მოძმე სოციალისტური ბულგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. გისურვებთ საინტერესო და ნაყოფიერ მოგზაურობას.

ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ ამხანაგების ტოდორ ჟივკოვის, გიორგი ტრაიკოვის, სტანკო ტოდოროვის საღეგრძელო, ყველა ჩვენი ძვირფასი ბულგარელი სტუმრის საღეგრძელო.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ცხოვრების ყველა დარგში!

— გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ახალ წარმატებებს!

• • •

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ჟივკოვის სიტყვები შეგრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

საღამოს განსაკუთრებით გულითად ძმურ ვითარებაში ჩაიარა. (საკვლევი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲝ-2 ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1972 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

კოლექტიური მეგზურობის საქმეში უხეშ დარღვევათა შესახებ

პარტია და მთავრობა სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა დასუფლების ორგანიზაციის საკითხებს, კერძოდ, მებაღეობის ამხანაგობათა განვითარებას, რომელმაც უკანასკნელ წლებში ფართო გაქანება ჰპოვა. ამ ზრუნვის უნარიანად გამოიყენებას შესამჩნევი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, მშრომელებისათვის. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის კეთილსინდისიერ შეუფასებლობა, მისი სწორი ორგანიზაციისადმი უყურადღებობა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელის მხრივ ერთობ არასასურველ შედეგებს იწვევს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, განხილა რა 1972 წლის 19 ოქტომბერს „პრავდაში“ გამოქვეყნებული ფელეტონი „როგორც ზოგანარში“ და სწორად ცნო იგი, აღნიშნა ქალაქ თბილისში მიწათსარგებლობის წესების და კოლექტიური მებაღეობის თაობაზე კანონდებულების უაღრესად უხეში დარღვევანი. ბიუროს ხაზი გაუსვა, რომ ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანოებმა, მთელ რიგ საწარმოთა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს კოლექტიური მებაღეობის განვითარების პოლიტიკური და ეკონომიური არსი, რის შედეგად ბევრ მებაღეობის ამხანაგობაში ადგილი ჰქონდა უხეშ დამახინჯებანსა და შეცდომებს.

ამან შესაძლებლობა მისცა ზოგიერთ უპატიოსნო პირს, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფსაც, უკანონოდ შესულიყვნენ მამხანაგობებში და გაერიგებინათ პირადი კაპიტალური სახლებისა და აგარაკების მშენებლობა. ამასთან ამშენებელი მნიშვნელოვანი ნაწილი ბოროტად სარგებლობდა თავიანი სამსახურებრივი მდგომარეობით და სახლებისა და აგარაკების ასაშენებლად იყენებდა დიდძალ ფონდირებულ საშენ მასალას, საწარმოთა მექანიზმებს, ტრანსპორტსა და მუშახელსაც კი.. ხოლო ქალაქის მეურნეობათა მთელი რიგი ხელმძღვანელები სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ ამშენებლებს აძლევდნენ მასალებს შეღავათიან ფასებში ან როგორც არაკონდიციურს.

ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში, რომლის ხელმძღვანელობამ მთელ რიგ შემთხვევებში თვითნებურად გამოუყო ზოგიერთ საწარმოს მიწები მეხეთის რაიონის სოფელ ცხვარიჭამიაში, დაუშვა მებაღეობის ამხანაგობათა უკანონო ფუნქციონირება, მიანდო რა მათი ხელმძღვანელობა შემთხვევითს, არაკეთილსინდისიერ პირებს. პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომისა და რაიაღმასკომის, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ სრული უყურადღებობისა და ნებაზე მიშვების ვითარებაში რაიონის საწარმოთა და მებაღეობის ამხანაგობათა ბევრმა ხელმძღვანელმა ჩაიდინა უაღრესად უხეში დამახინჯებანი და უკანონო მოქმედება.

სოფელ ცხვარიჭამიაში, მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ მოეწყოთ მიწის კოლექტიური დამუშავება, ბაღების გაშენება და ერთობლივად გამოიყენებინათ ნაერთო შრომის შედეგები, ამხანაგობათა ზოგიერთმა წევრმა ინდივიდუალურად შემოლობა ნაკვეთები, გააჩინა სახლებისა და აგარაკების მასობრივი უკანონო მშენებლობა, რამაც მახინჯი პრაქტიკა მიიღო. ამხანაგობებმა რაიაღმასკომის ნებართვით დაუშვეს მიწის იმებაცვლის, თაევინთ კოლექტიებში სრულიად გარეშე და ცრუმაგიერი პირების, აგრეთვე ზემდგომი სამეურნეო ორგანოების მუშაკთა შეყვანის მრავალი ფაქტი, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება არ ჰქონდათ მებაღეობის ამხანაგობებთან.

ზემდგომი ორგანოების მითითებათა საწინააღმდეგოდ, მთელ რიგ მებაღეობის ამხანაგობებში, რომლებმაც აითვისეს მიწა სოფელ ცხვარიჭამიაში, ნაცვლად მუშებისა, მეტწილად გაერთიანებული იყვნენ მხოლოდ საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მაგალითად, ფოლად-თუნუსმსხმელი ქარხნის ამხანაგობაში 32 წევრიდან არც ერთი მუშა არ არის, ამერკაკავკასიის მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს ამხანაგობაში 49 წევრიდან მხოლოდ 6 მუშაა, და ა. შ.

იმისათვის, რომ მიეღოთ მიწის ნაკვეთები, რაიონის ზოგიერთ საწარმოში ბევრი მოქალაქე გაფორმებული იყო მუშად და მოსამსახურედ უმნიშვნელო ხნით, მათ შორის ბევრი ფიქციურადაც. მიწის ნაკვეთის მიღების შემდეგ აღნიშნულმა პირებმა მიატოვეს სამუშაო.

ამხანაგობების წევრთა უმრავლესობამ, მათ შორის ბევრმა პასუხისმგებელმა მუშაკმა, ამხანაგობის წესდების დარღვევით, შემოღობა გამოუყოფილი ნაკვეთები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 მარტის დადგენილების საწინააღმდეგოდ მსუბუქი ტიპის პატარა ბაღის სახლების ნაცვლად ააშენა ან დაიწყო კაპიტალური სახლებისა და აგარაკების მშენებლობა.

იჩენდნენ რა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, ფიზიკელ თელავდნენ კანონსა და წესს! ზოგჯერ ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ მდგომარეობას, ივიწყებდნენ თავიანთ ძირითად სამსახურებრივ მოვალეობებს. მთელმა რიგმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა — პარტიის ლენინის რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა ამეკაძემ საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ დ. გ. აბუთაიძემ, ლენინის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსმა პ. ვ. ეზაშვილმა, ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს უფროსმა კ. ს. მონკოლიმემ, „სოფლმშენმონტაჟის“ ტრესტის მმართველმა თ. რ. ხოსიტაშვილმა, „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის მმართველმა გ. პ. პეტრიაშვილმა, „მთავართბილისმშენის“ № 18 ტრესტის მმართველმა ვ. პ. ნარიმანიძემ, ამიერკავკასიის ტრანსმშენის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ვ. ვ. ტაგანაშვილმა, თბილისის ფოლადთუნუსმსხმელო ქარხნის დირექტორმა ი. დ. იმერლიშვილმა, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფო-სანატორიუმი ყაურთიანების მთავარმა ექიმმა დ. ვ. ლეშკაშვილმა, თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გ. რ. თოფურიამ, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პოლკლინიკის მთავარმა ექიმმა რ. ხ. დეკდარიანმა და ზოგიერთმა სხვამ დაიწყეს საკუთარი კაპიტალური სახლებისა და აგარაკების მშენებლობა.

პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომმა და რაიაღმასკომმა, არ გამოიჩინეს პრინციპული პარტიული სიფხიზლე, ამ მასობრივ დარღვევებში ვერ დაინახეს ჩვენი საზოგადოებისათვის მავნე, უცხო ზნე-ჩვეულებათა და ტენდენციათა გამოვლინებანი, რომლებიც სერიოზულ მატერიალურ და მორალურ ზარალს აყენებენ საზოგადოებას და ქალაქის მშრომელთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვიეს.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, პარტიის ქალაქ თბილისის მეთოდ რიგი რაიკომებისა და რაიაღმასკომების, შესაბამისი პროფკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მხრივ უკონტროლობისა და მეთვალყურეობის მოდუნების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომს, პარტიის ქალაქ თბილისის ზოგიერთ რაიონულ კომიტეტსა და რაიაღმასკომს, სერიოზული დასკვნები არ გამოუტანია აღნიშნული ფაქტებიდან შესაბამისად საკმაო ტენტრალური კომიტეტის დადგენილებისა „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შეს

მოძმე ხალხთა ურღვევი კავშირი

საზეიმო საღამო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

მოსკოვი, 13 ნოემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ). საქართველო, მისი შრომითი რიტმი, მეღოდიები, ხალხურ ხელმარჯვეთა ნაკეთობანი, სამხატვრული, ქართული მეტყველება დაეუფლა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონებს. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოვიდა ათასობით მოსკოველი, დედაქალაქის სტუმარი, რომ მონაწილეობა მიეღო საქართველოს დღეებში, გასცნობოდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების ამსახველ მეტყველ გამოფენებს, შეხვედროდა მის წარმომადგენლებს. ბევრი ვერ მოხვდა ამ დღეების ცენტრალურ მოვლენაზე — სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კულტურის სახლში გამართულ საზეიმო საღამოზე, რომელმაც ვერ დაიტია ყველა, ვისაც სურდა მოესმინა სიტყვა საქართველოზე, შეხვედროდა მის ძველ და მარად ახალგაზრდა ხელოვნებას.

საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა კ. მიხაილოვმა.

— ამ რამდენიმე დღეში, — თქვა მან, — სანამ გამოფენის პავილიონები საქართველოს დათმო, მოსკოველები და დედაქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმრები გაეცნენ წარმატებებს. რომლებითაც საქართველოს შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი ეგებება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ამას დამაჯერებლად ასახავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მომზადებული ექსპოზიციები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 85-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკას მხოლოდ შვიდი დღე სჭირდება, რომ გამოიმუშაოს იმდენი სამრეწველო პროდუქცია, რამდენსაც უშვებდა მთელი რევოლუციამდელი საქართველო წლის განმავლობაში. დღეს საქართველოს სს რესპუბლიკა ქვეყანას აძლევს ათასობით ტონა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ფერროშენადნობებს, მილიონობით ტონა მანგანუმის მადანს, ქვანახშირს, მინერალურ სასუქებს; რესპუბლიკა აწარმოებს თვითმფრინავებს, ელმავლებს, ავტომობილებს, წყალქვეშა ფრთიან კატარღებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებს, ლითონდამუშავებულ ტექნიკას. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, სამამულო ინდუსტრიის ისეთი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გიგანტებით, როგორიცაა რუსთაველ მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი, ჭიათაურის საავტომობილო ქარხანა, თბილისის ელმავლაშენებელი და ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნები.

მანქანათაშენებელი, სამთამადნო, ნავთობის, ქვანახშირის მრეწველობის განვითარებასთან ერთად განუზომლად გაიზარდა რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზაც.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ენერგეტიკის ერთ-ერთი პირმშო — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური გოელროს ლენინური გეგმით აშენდა ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ და 1927 წლის აპრილში გამოუშვა პირველი დენი. ახლა საქართველოში ოცდაათზე მეტი ელექტროსადგურია. მიმდინარე ხუთწლეულში რესპუბლიკის ენერგოელექტროენერგეტიკა კიდევ 1,5-ჯერ გაიზრდება.

საბჭოთა საქართველოს ჰიდროშენებელთა მიღწევებზე, ენგურჰესის მშენებელთა მრავალეროვანი კოლექტივის წარმატებებზე მეჩვრმეტყველურად მოგვითხრობენ „სსრ კავშირის ელექტროფიკაციისა“ და „ენერგეტიკული შენებლობის“ პავილიონების ექსპოზიციები.

საქართველო სუბტროპიკული კულტურების ძირითადი მიმწოდებელია. ქართული ზეთი მადლია ყურძენი, ატამი, ფორთოხალი, ლიმონი, ხურმა და ბევრი სხვა ხილი და კენკრა. მაგრამ განსაკუთრებით განთქმულია იგი ჩაით, რომელიც თითქმის ოცდაათ რაიონში მოპოვდა. ზურმუტფოვანი ჩაის პლანტაციების ფართობი განუწყვეტლივ იზრდება, იზრდება მოსავლიანობაც. რესპუბლიკის მეჩაიეთა სახელოვან საქმეებს შეიტყობთ პავილიონში „შეპაღლობა, მეგვინახვეობა და სუბტროპიკული კულტურები“. საქართველოს რესპუბლიკის წარმატებანი ვენონმიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში არა მარტო საბჭოთა საქართველოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებული შრომის, არამედ საბჭოთა ხალხის ერთმოლიანი შრომის შედეგიც არის. ყველივე ეს შესაძლებელი გახდა უკლებელ ყველა ერისა და ეროვნების შრომელთა ურთიერთდახმარებით, მათი ურღვევი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და იდეური ერთობის მეოხებით.

ელერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. სიტყვას ამბობს დელეგაციის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის მშრომელთა სახელით იგი გულთბილად მიესალმა შეკრებილთ და მათი სახით ყველა მოსკოველს.

ორატორმა მოიყვანა გამომსაბჭედელი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში. ერთმანეთთან თანამშრომლობისა და უანგარო დახმარების მეოხებით რესპუბლიკა გახდა დიდად განვითარებული ინდუსტრიის, მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის ქვეყანა.

დღეს საქართველოს 300-ზე მეტ დასახელების პროდუქცია გაგზავნილია 70 ქვეყანაში, მათ შორის ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, საფრანგეთი და იტალია.

დღევანდელი საქართველოს დამახასიათებელი ნიშანია მშენებლობა ისეთი მსხვილი ობიექტებისა, როგორიცაა მადნეულის სპილენძის გამამდიდრებელი კომბინატი, ენგურჰესი, ფარცხისის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი მდინარე რიონზე, ჭინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი მდინარე არაგვზე, ალაზნის სარწყავი სისტემა. ეს მშენებლობანი კიდევ უფრო მეტ ძალას შემატებენ რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, რესპუბლიკისა, რომელიც უკვე ახლა ჩარსებისა და მოწყობილობის, ავტომობილების, ელმავლების, თვითმფრინავების, ჩაის, ციტრუსების, ღვინისა და ტექნიკური კულტურების წარმოების დიდი ცენტრია ჩვენს ქვეყანაში.

ორატორმა ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის უმაღლეთო აყვავებაზე. ძნელია დღეს დავასახელოთ მეცნიერების დარგი, რომელშიც საქართველოს მეცნიერებს არ მიეღოთ ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული შედეგები. ბევრი ქართველი მეცნიერის ნაშრომს მიეკუთვნა ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები.

ეს წარმატებანი, თქვა ვ. ვადაჭკორიამ, შესაძლებელი გახდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ხალხის ძმური დახმარების მეოხებით.

მან გულმხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ბოსკოვის საქალაქო კომიტეტს, ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიკომებს, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციასა და ხელმძღვანელობას, ყველა მოსკოველს გულითადი მასპინძლობისათვის.

სკკპ ბაუმანის რაიკომის პირველი მდივანი ა. კოსტენკო ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიონების მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა საქართველოს წარმომადგენლებს. ამ რაიონებისა და საქართველოს მშრომელთა ტრადიციულ კავშირურთიერთობაზე რომ ილაპარაკა, მან მოიყვანა მეცნიერული კვლევის, შეძენილი გამოცდილების, პრაქტიკული ცოდნის გაზიარების დარგში ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითები.

საღამოზე გამოსულმა სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა ვ. ასათიანმა აღნიშნა, თუ როგორ შეუწყო ხელი საქართველოს საავიაციო მრეწველობის შექმნა-განვითარებას ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურთიერთდახმარებამ. მარტო ჩემს „შმობელთან“ საწარმოში, თქვა მან, მხარდამხარ შრომობენ რუსები და უკრაინელები, ხომხები და აზერბაიჯანელები, ესტონელები და ბელორუსები, ჩვენი დიადი სამშობლოს თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

მშობლიური საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივისა და ძერჟინსკის რაიონის ყველა მშრომელის სახელით საქართველოს წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმა მოსკოვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი საინსტრუმენტო ქარხანა „კალიბრის“ კომუნისტური შრომის დამკვრელი ა. სუსლინი.

ქართული კულტურის აყვავებაზე უამბო შეკრებილთ რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა. მან მოიყვანა ეროვნულ კულტურათა ინტერნაციონალური ურთიერთობისა და გამდიდრების საინტერესო მაგალითები, აღნიშნა ქართული ხელოვნების მოღვაწეთა და მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის წარმომადგენელთა შემოქმედებითი კონტაქტები.

წაიკითხეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი საგაზეთო ჟურნალი, ამ ფურცლებზე გადაწყვეტილება, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ რესპუბლიკა ჯილდოთ ორდენ ლენინით. ასევე ორდენ ლენინით ჯილდოვდებიან ბაკურიანი, ფოთი, ბორჯომი, ზესტაფონი, ფოთის ნავსადგური, ენგურჰესი, ალაზნის ველის ირიგაციული სისტემა, ფარცხისის ჰიდროელექტროსადგური, ფოთის ნავსადგურის ბრიგადა, ბაბუშკინის, მინერალურ სასუქებს; რესპუბლიკა აწარმოებს თვითმფრინავებს, ელმავლებს, ავტომობილებს, წყალქვეშა ფრთიან კატარღებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებს, ლითონდამუშავებულ ტექნიკას. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, სამამულო ინდუსტრიის ისეთი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გიგანტებით, როგორიცაა რუსთაველ მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი, ჭიათაურის საავტომობილო ქარხანა, თბილისის ელმავლაშენებელი და ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნები.

მანქანათაშენებელი, სამთამადნო, ნავთობის, ქვანახშირის მრეწველობის განვითარებასთან ერთად განუზომლად გაიზარდა რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზაც.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ენერგეტიკის ერთ-ერთი პირმშო — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური გოელროს ლენინური გეგმით აშენდა ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ და 1927 წლის აპრილში გამოუშვა პირველი დენი. ახლა საქართველოში ოცდაათზე მეტი ელექტროსადგურია. მიმდინარე ხუთწლეულში რესპუბლიკის ენერგოელექტროენერგეტიკა კიდევ 1,5-ჯერ გაიზრდება.

საბჭოთა საქართველოს ჰიდროშენებელთა მიღწევებზე, ენგურჰესის მშენებელთა მრავალეროვანი კოლექტივის წარმატებებზე მეჩვრმეტყველურად მოგვითხრობენ „სსრ კავშირის ელექტროფიკაციისა“ და „ენერგეტიკული შენებლობის“ პავილიონების ექსპოზიციები.

საქართველო სუბტროპიკული კულტურების ძირითადი მიმწოდებელია. ქართული ზეთი მადლია ყურძენი, ატამი, ფორთოხალი, ლიმონი, ხურმა და ბევრი სხვა ხილი და კენკრა. მაგრამ განსაკუთრებით განთქმულია იგი ჩაით, რომელიც თითქმის ოცდაათ რაიონში მოპოვდა. ზურმუტფოვანი ჩაის პლანტაციების ფართობი განუწყვეტლივ იზრდება, იზრდება მოსავლიანობაც. რესპუბლიკის მეჩაიეთა სახელოვან საქმეებს შეიტყობთ პავილიონში „შეპაღლობა, მეგვინახვეობა და სუბტროპიკული კულტურები“. საქართველოს რესპუბლიკის წარმატებანი ვენონმიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში არა მარტო საბჭოთა საქართველოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებული შრომის, არამედ საბჭოთა ხალხის ერთმოლიანი შრომის შედეგიც არის. ყო

მხოლოდ ღირსეულნი

ინტერვიუ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი წერილები მოდის. მათს ავტორებს აინტერესებთ, სამედიცინო ინსტიტუტში როგორია ერთწლიან მოსამზადებელ განყოფილებაზე მიღების პირობები და არის თუ არა მოსალოდნელი ცვლილებები მომავალი 1973 წლის მისაღებ გამოცდებზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს პროფესორ ო. ლუდუშაურს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

□ □

— როგორ მიმდინარეობს ერთწლიან მოსამზადებელ განყოფილებაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა?

— გასული წლისაგან განსხვავებით წელს მოსამზადებელი განყოფილება დაკომპლექტდება მხოლოდ იმ რაიონების ხარჯზე, სადაც არის სამედიცინო კადრების ნაკლებობა. მაგალითად, ლიმიტით არიცერთი აბიტურიენტი არ იქნება წარმოდგენილი ქალაქებიდან — თბილისიდან. გორიდან (ქალაქიც და რაიონიც), ზუგდიდიდან (ქალაქიც და რაიონიც), და გურჯაანის, ზესტაფონის კასპის, გარდაბნის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ცხაკაიას რაიონებიდან.

მოსამზადებელ განყოფილებაზე დიდი კონკურსი იქნება. ერთ ადგილზე ორი-სამი აბიტურიენტი მოვა. უპირატესობა მიეცემა მას, ვისაც გენება არანაკლებ ორი წლის უწყვეტი სამუშაო სტაჟი, აგრეთვე გასაუბრების დროს გამომჟღავნებს უკეთეს ცოდნას. გასაუბრება იწარმოებს შემდეგ საგნებში: ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

თუ აბიტურიენტი გასაუბრების დროს გამოამჟღავნებს არადამაკმაყოფილებელ ცოდნას, რა დიდი სამუშაო სტაჟიც არ უნდა ჰქონდეს, მოსამზადებელ განყოფილებაზე არ ჩაირიცხება.

მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებს ჩვენ ძალიან შევეცქმენით სწავლის სათანადო პირობები. გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლებისაგან დაკომპლექტდა პედაგოგთა კონტინგენტი. ერთ-ერთ სასწავლო კორპუსში გამოყოფილია ათამდე ოთახი. ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში გამოყოფილი იქნება ადგილების გარკვეული რაოდენობა.

— რა ცვლილებებია მოსალოდნელი 1973 წლის მისაღებ გამოცდებზე?

— მომავალ მისაღებ გამოცდებზე სერიოზული ცვლილებები იქნება.. მათემატიკის ნაცვლად აბიტურიენტები ჩაბარებენ ფიზიკას, ვინაიდან საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში არ აბარებენ მათემატიკას და თანაც ფიზიკას მეტი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი მედიკების აღზრდის საქმეში.

ფიზიკა ისაჭიროება მედიცინის ყველა დარგის ექიმს. კერძოდ, მას დიდი გამოყენება აქვს ფიზიოთერაპიაში, ტრავმატოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში, ლარინგოლოგიაში, ჰიგიენაში და სხვ.

ფიზიკის ცოდნა ამავე დროს გულისხმობს მათემატიკის ცოდნასაც იმ დონეზე, რაც გენის სჭირდება. რაც შეეხება სასწავლო პროგრამას, იქ ცვლილებები არ არის მოსალოდნელი, მათემატიკა კვლავ რჩება როგორც ფაკულტეტური სწავლების საგანი.

მისაღებ გამოცდებზე კიდევ ერთი ცვლილება იქნება. გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტებისათვის ცნობილი არ იქნება ის საგანი, რომელიც პირველად უნდა ჩაბარდეს. ჩასაბარებელი საგანს გამოცდების წინ კენჭისყრით აარჩევს საგამოცდო კომისია. ამის მიხედვით შედგება საერთო საგამოცდო ცხრილი. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ მედალოსანი მზად იყოს ცოდნა ფრიადზე ნებისმიერ საგანში გამოამჟღავნოს.

— მიგაჩნიათ თუ არა წერითი გამოცდები აბიტურიენტის ცოდნის შეფასების სრულყოფილ საშუალებად?

— წერითი გამოცდები ვერ ამოწურავს აბიტურიენტის ცოდნას. ამ მეთოდს ერთი დიდი ნაკლი აქვს. კოდირებული საგამოცდო ფურცლების მიღმა ჩვენ არ ვიცით ვინ დგას, როგორი ახალგაზრდა, არა გვაქვს იმის საშუალება, რომ პირდაპირ, უშუალოდ გავიცნოთ მომავალ სტუდენტს, ცოცხალი კონტაქტი ვიქონიოთ მასთან, რომ უკეთესთა შორის უკეთესი ამოვარჩიოთ როგორც ცოდნის, ისე ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით. ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილებაა ერთი გამოცდა რომელიმე საგანში აუცილებლად ზეპირი ხასიათისა იყოს. ცნობა ამ საგანზე და მოსალოდნელ სხვა ცვლილებებზე გამოქვეყნდება ინსტიტუტის განცხადებაში მისაღები გამოცდების შესახებ.

საქართველოს სსრ დედაქალაქი — თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მოედანი. მეორე პლანზე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა.

ო. თუთაძის ფოტო (საკვლევი ფოტოქრონიკა).

ოპერა ახალი შემსრულებლები

სპეციალური აფიშა იუწყებოდა, რომ იმ დღეს თბილისის ოპერის თეატრში ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტაში“ პირველად გამოიყოფდნენ უკვე სახელმოხვეჭილი ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ზ. სოტკილავა (ვოდემონი), თ. ზეინკლიშვილი (რობერტი), რ. კაკაბაძე (ებნ-ჰაკიმ) და ოპერის სრულიად ახალგაზრდა სოლისტი თ. ტოგონიძე (ბერტრანი). ამავე სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ო. კუზნეცოვა (იოლანტა), ი. შუშანია (მეფე რენე) და სხვები დირიჟორი — თ. ჯაფარიძე.

...საფრანგეთის მეფის ასულის უსინათლო იოლანტას ბაღში შემთხვევით მოხვდნენ ბუსს აცდენილი რაინდები — ბურგუნდიის ჰერცოგი რობერტი და გრაფი ვოდემონი. არც ერთმა არ იცოდა, სად იყვნენ. რობერტი (თ. ზეინკლიშვილი), რომელსაც თავდაყოფილი შეაყვარებია ლოთარინგიის გრაფის ასული მატილდა, გატაცებით უმღერის თავისი სატრფოს მშვენიერებას. მთელი მისი არიოზო აღსავსეა მძაფრი, ვნებიანი აღფრთოვანებით, დაუძლეველი სწრაფვით გულის სწორისადმი. მომღერლის ლბილი, ხავერდოვანი ბარიტონისათვის არ არსებობს დიაპაზონის საზღვრები.

ვოდემონი — სოტკილავა ლირიზმითა და პოეტურობით აღსავსე ჭაბუკია. მისთვის უცხოა ქალიო ასეთი ვნებიანი გატაცება. მისი ოცნებაა სიანაზითა და სინატიფით აღსავსე, ღვთაებრივი ქალწული. ამიტომაც არის, რომ ვოდემონის პირველივე რომანსი განსაკუთრებული პაეროვნებით, შთამაგონებელი დახვეწილობით აკეთერდა სოტკილავას შესრულებით. ვოდემონმა იხილა იოლანტა მარილაც ღვთაებრივად მოწმიხლავი, უმანკო და მისდამი არამიწიერი სიყვარულით განიმსჭვალა. ვოდემონი — სოტკილავა მლელვარედ ცდილობს აუხსნას ქალს, რა არის სინათლე, ნამდვილი ბედნიერება. მომღერლის უაღრესად ლამაზი ტენორის ხმა, რომელიც აღსავსეა ნიუანსების ფილიგრანული მრავალფეროვნებით, თანდათან მზიური მგზნებარებით ივსება, ვაჟკაცური შემართებით ეღერს, მთელი დუეტი იოლანტასთან სიყვარულისა და სიცოცხლის ჰიმნად იქცა. სოტკილავა — ვოდემონი სიცოცხლეზე შეყვარებული რაინდი-პოეტი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე ფიანდაზად დაუგო თავის სათაყვანებელს, უდიდეს დამაჯერებლობას აღწევს I აქტის ფინალში, ამიტომაც მეტად ბუნებრივად გეჩვენებათ, როდესაც იგი მუხლებზე ეცემა იოლანტას წინაშე და მისი კაბის ბოლოს სასოებით ეშოსფეგა.

რ. კაკაბაძის დრამატული ბარიტონი შესანიშნავად შეუსაბამა მაგრი ექიმის ებნ-ჰაკიას პარტიას. მთელ მის სიმღერაში აღმოსავლური სიდინჯე, თავისი თავისადმი უდიდესი რწმენა იგრძნობა. განსაკუთრებით კარგად აყალიბა არიის კულმინაციური ადგილი.

ბერტრანის პარტიაში მაყურებელს კმაყოფილება მოჰკვანა ახალგაზრდა სოლისტის თ. ტოგონიძის საოცრად მძაფრმა ბანმა, რომელიც გამომსახველად და თანაბრად ეღერდა. მან სწორად წარმოგვიდგინა თავისი გმირის ცვლური სანი: ძველი მეომარი გუშაგად ედგა მეფის უსინათლო ასულს და მისი კარმიდამოს სიმშვიდესა და შეუვალობას იცავდა.

ახალგაზრდა დირიჟორმა თ. ჯაფარიძემ დიდი მუშაობა გასწია, სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მშვენიერი ანსამბლი შექმნა. ოპერა „იოლანტა“, რომელიც სიცოცხლეს, სინათლესა და სიყვარულს უმღერის, მართლაც რომ ბედნიერებისა და სიხარულის მზიურ ჰიმნად აღეღერდა იმ საღამოს.

ნათელა სვანიშვილი.

სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ზ. სოტკილავა (ვოდემონი), თ. ზეინკლიშვილი (რობერტი), რ. კაკაბაძე (ებნ-ჰაკია).

ა. კაპკასიძის ფოტო.

ბაკო. (საკუთარი კორ.). აზერბაიჯანში სტუმრად არიან მოძმე საქართველოს ნათელი, თვითმყოფი ხელოვნების წარმომადგენლები.

მიუსალმა რა ქართული სცენის ოსტატებს, აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. მამედოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად აზერბაიჯანის თეატრების რეპერტუარში ფართოდ წარმოდგენილია ქართული დრამატურგია და მუსიკა, რომლებიც ოდითგანვე პოპულარულია აზერბაიჯანში. სადღესასწაულო წარმოდგენების ერთი-ფიერ პროგრამაში შეტანილია ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა!“, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“. შ. მილორავის „სიმღერა თბილისზე“.

მაყურებლებს დიდი სიხარული მიანიჭა სტუმრების საკონცერტო პროგრამამ, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ციციშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტებს გ. ბერაძეანი, უ. ყიფშიძე, ე. გურამიშვილი და მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრისა და ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სხვა მსახიობები.

ქართული სცენის ოსტატებმა კონცერტი გამართეს სუმგაითში.

□

სოფელი არ ივიწყებს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ მეორე სვირიდან ასოებით ეფეცი წავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. ბევრი მათგანი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. მათს ხსოვნას არ ივიწყებს. სათუთად ინახავს სოფელი. მეორე სვირის სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და საშუალო სკოლის დირექციის თანამონაწილეობას ცენტრში აიგო შინმოუსვლელთა დიდების ობელისკი, რომლის ორივე მხარეზე გამოფენილია სურათები იმ ვაჟკაცებისა, რომლებიც გმირულად დაეცნენ ფაშისტებთან ბრძოლაში.

გმირთა დიდების ობელისკის ავტორია ამავე სოფლის მკვიდრი, მოქანდაკე გ. გაბეხაძე.

□

დიდი მოგება

თელავი. (საკ. კორ.). თელავში მცხოვრებმა რ. მოსიაშვილმა რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა სახელმწიფო 3-პროცენტიანი ხელხმა 20-მანეთიანი ობლიგაცია № 07, სერია 122622 —, რომელსაც 59-ე ტირაჟში 2.500 მანეთი მოგება ხვდა.

აბსოლუტურ ფარეულ

მოზარდ მაყურებელთა თეატრს დიდი შემოქმედებითი და ამმზრდელობითი მისია აკისრია. აქ ყალიბდება ნორჩების ხასიათი, ფსიქიკა, იწრთობა ნებისყოფა. და რა სასიამოვნოა, როცა სპექტაკლის ლიტერატურული მასალა, რეჟისორული გადაწყვეტა, აქტიორთა თამაში სასურველ სიმაღლეზე დგას და მით უმეტეს მაშინ, როცა კარგი წარმოდგენის ავტორები ახალგაზრდები არიან.

ასე იყო ამჯერადაც. მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა გენადი მამლინის პიესა „ეი, გამარჯობა შენი!“. უნდა ითქვას, რომ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დილომანტის ნანა კვასხაძის როგორც რეჟისორის დებიუტმა დიდ სცენაზე წარმატებით ჩაიარა. წარმოდგენა საინტერესოდ არის გადაწყვეტილი, კარგად მოძებნილი მიზანსცენები, კომპოზიცია, რიტმი, ყვავილფერი ეს ძალდატანებლობისა და მარცალი სცენური ცხოვრების აბმოსფეროს ქმნის. რეჟისორი დაკვირვებული და დინჯი დირიჟორის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც ჩინებული გემოვნება აქვს.

საინტერესო შთაბეჭდილება დატოვა მსახიობთა თამაშმა. გიული მახათაძე მაშკას განასახიერებს, ხოლო ვალერკას აკაკი შაშშიაშვილი თამაშობს. ორივენი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსზე სწავლობენ (მოზარდ მაყურებელთა თეატრის ჯგუფი).

პიესაში ასახულია ორი მოზარდის ცხოვრების ყველაზე ამაღელვებელი მონაკვეთი. ისინი ზღვის ნაპირზე ერთ პატარა დაბაში ცხოვრობენ. გოგონას მოკლე მარაული აცვია, სასაცილო აპრეხილი კიბეები აქვს და ბაზარში ერთთავად ვეებერთელა კალათებით წითლად დამკრასულ ბალსა და ყვავილებს დაარბენინებს, ჰკიდის, მაშ რა ქნას, მას და ბებიას ცხოვრება ხომ უნდათ! მაშკა მოუსვენარი, უდარდელი და ენაკვიმატია, მაგრამ ძალიან კეთილი და მოსიყვარულე გოგოა. ვალერკა კი დიდი კაცივით სერიოზული და საქმიანია. პირველად სულაც არ ეპიტნავა მაშკა, სძაგელ გოგოდ მოეჩვენა, ფიქრობდა, ბაზარში დაძვრება, ვაჭრობს და თანაც ენაჭარტალაობ. მერე ყველაფერი შეიცვალა, მაშკა და ვალერკა აფორიაქდნენ. ჩვენს თვალწინ უეცრად გარდაიქმნენ, დასერიოზულდნენ, უფრო პოეტური და მეოცნებენი გახდნენ. მოვიდა, თავისთავად მოვიდა ის უცნაური და ლამაზი გრძნობა, რომელსაც პირველი სიყვარული ჰქვია. თითქოს ახლა დაინახეს, რომ ცა მაღალი და ლურჯია, ვარსკვლავებიც ისე ბდღვრიალებენ...

ისინი ერთმანეთს ნავსადგურში ძველ საღებავდაცილილ ნავებთან, ორჩხომელებთან და კარაპეტთან ხვდებიან. კინკლობენ კიდეც, მაგრამ, რაც მართალია, დადინჯდნენ და გაიგეს ნამდვილი მეგობრობის და ურთიერთგულების ფასი. სპექტაკლს მხოლოდ ეს ორი მოქმედი გმირი ჰყავს და მთელი წარმოდგენის განმავლობაში ერთხელაც არ სტოვებენ სცენას. ამდენად მათ რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. უთუოდ სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებმა ძნელ გამოცდას გაუძლეს და შექმნეს ცოცხალი, დამაჯერებელი სახეები. მათმა აქტიორულმა გარდასახვამ, მკაფიო მეტყველებამ, სცენიურობამ და უშუალობამ მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა მხატვრის გ. მესხიშვილის ნამუშევარი. წარმოდგენის მხატვრული გადაწყვეტა ლაკონიური, სადა და მეტყველია. სასიამოვნოდ ეღერება სპექტაკლში მუსიკალური აკომპანემენტი (მუსიკა ნ. ალათიანისა), ხოლო მომღერალ მ. მენაბდეს მიერ შესრულებული სიმღერები მართლაც ამშვენებდა წარმოდგენას.

ნანა ჯაფარიძე.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ეი, გამარჯობა შენი!“. მაშკა — გ. მახათაძე და ვალერკა — ა. შაშშიაშვილი.

გ. სანაიას ფოტო.

დამთავრდა მ. ციგოურინის მემორიალი

კიესლოვოდსკში დამთავრდა დიდი რუსი მოჭადრაკის მიხეილ ჩიგორინის სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა საერთაშორისო გროსმაისტერმა, ექვსმა საერთაშორისო ოსტატმა და ორმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა — ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, დანიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა — დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერის ლევ პოლუგაევსკის გამარჯვებით, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა 14 შესაძლებლიდან. მან მოიპოვა ყველაზე მეტი გამარჯვება — 9. ეს პოლუგაევსკის ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებაა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა ბერეთვე საბჭოთა გროსმაისტერმა ლეონიდ შტეინმა (ციელი). ტურნირის ყველა მონაწილეთაგან მარტო მან შეძლო გაეგლო შეჯიბრება ისე, რომ არც ერთი დამარცხება არ განუცდია.

მესამე ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა ე. გელერმა. მან უკანასკნელ ტურში ყაიმი გააკეთა ლ. შტეინთან და 9 ქულა შეაგროვა.

როგორც ცნობილია, ტურნირში წარმატებული სტარტი ჰქონდა თბილისელ გროსმაისტერს ბ. ბურგნინიას. მაგრამ შეჯიბრების მიტილშიალში და განსაკუთრებით ფინიშზე გორგანინმ ჩინებულად ითამაშა. უკანასკნელ ტურში მან დამარცხა საერთაშორისო გროსმაისტერი ა. სუეტინი (მოსკოვი), 8 ქულა მოაგროვა და IV-V ადგილები გაიყო. მასთან ერთად ეს შედეგი აჩვენეს საერთაშორისო გროსმაისტერმა ვ. უნციკერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რომელმაც უკანასკნელ ტურში სძლია სატურნირო ცხრილის ბოლოში მოქცეულ იაკობსენს (დანია), და ახალგაზრდა ომსკელმა ოსტატმა ვ. ცეშკოვსკიმ, რომელმაც დაამარცხა ბრეკოლაში გაიმარჯვა გროსმაისტერ რ. ხოლმოვთან.

ე. გუფელდი.
საერთაშორისო გროსმაისტერი.

ვინ იქნება პრიზიორი?

კვირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის კიდევ 3 მატჩი, რომელთაგან ერთს — ლვოვის „კარპატისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრას ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში.

ანგარიში ლვოველებმა გახსნეს (26-ე წუთზე დანილიუკმა), მაგრამ ტაინის უკანასკნელ წუთზე კიეველთა კაპიტანმა პუზაჩმა აღადგინა წონასწორობა — 1:1.

შესვენების შემდეგ დინამოელმა ბლოხინმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, რასაც პოკორას საპასუხო ბურთი მოჰყვა. გადამწყვეტი გოლის გატანა ამ მატჩში მაინც კიეველებმა შეძლეს (ტროშკინმა) — 3:2 და საგრძნობლად გაიუმჯობესეს შანსები საპრიზო ადგილისათვის ბრძოლაში.

მოსკოვში ადგილობრივი დინამოელები ლებულობდნენ ერევანის „არარატს“. თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთაოერთმა ბურთმა, რომელიც 54-ე წუთზე გაიტანა არარატელმა ზანაზანიანმა. ერევნელი ფეხბურთელები ჯერჯერობით მესამე ადგილზე არიან.

ასევთვე მინიმალური ანგარიში იყო ფიქსირებული დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრაში. გამარჯვების ბურთი დარეინის კარში გაიტანა დნეპროპეტროვსკელმა რომანიუკმა.

* * *

შეხვურთის საკავშირო ფედერაციამ კიდევ ერთხელ შეცვალა ჩემპიონატის კალენდარი — წელიწადნახევარ გათამაშების დასკვნითი მატჩი კიევში ადგილობრივ „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზარიას“ შორის გაიმართება არა 21, არამედ — 22 ნოემბერს.

სტადიონებზე...

მეორე ჯგუფის ეროვნული უძლიერესი კლუბის ტურნირზე სოჭში, რომელშიც პირველი ლიგის ახალბედებიც უნდა გამოავლინოს, უკვე გათამაშდა სამი ტური. ლიდერებს — კემერეოვოს „კუზბასსა“ და ლიპეცკის „ფტალურგს“, რომლებიც უკანასკნელ დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ, მოგებული ჰქონდათ ორ-ორი მატჩი. ამჯერად პირველობის მაძიებელთა პაექრობა დამთავრდა ფრედ — 0:0.

* * *

მოსკოვში „ლოკომოტივმა“ ლიბანანში მეორე შეხვედრა გაიმართა — ამჯერად ჩვენების ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან „ნეფტჩთან“ და გაიმარჯვა 2:0.

* * *

ინგლისის სტადიონებზე თავისი ტურნე ლენინგრადის „ზენიტელებმა „საუტენდ იუნაიტედთან“ შეხვედრით დაიწყეს. მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

გოლეადების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 14 ნოემბრისათვის

	ო.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჯ.
„ზარია“	28	15	8	5	48-26	38
„დინამო“ (თბ.)	30	12	11	7	41-34	35
„არარატი“	30	12	10	8	38-29	34
ცსკა	30	15	4	11	37-33	34
„დნეპრი“	30	12	10	8	37-37	34
„ზენიტი“	30	11	11	8	44-30	33
„დინამო“ (კ.)	28	11	10	7	46-33	32
„დინამო“ (მნ.)	30	10	11	9	27-28	31
„ტორპედო“	30	11	9	10	31-33	31
„დინამო“ (ბ.)	30	12	6	12	39-35	30
სკა	29	8	10	11	29-32	26
„კირატი“	30	6	14	10	23-27	26
„სპარტაკი“	28	8	8	12	27-28	24
„კარპატი“	30	8	8	14	27-43	24
„ლოკომოტივი“	30	6	9	15	29-48	21
„ნეფტჩი“	29	6	7	16	27-54	19

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცნობებს, რომ 1972-73 სასწავლო წელს დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა სალექციო-ლაბორატორიული შეკრება იწარმოებს შემდეგი განრიგით:

სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის

I კურსი 1 თებერვლიდან 6 მარტამდე 1973 წ.
II კურსი 1 მარტიდან 4 აპრილამდე 1973 წ.
III კურსი 10 იანვრიდან 18 თებერვლამდე 1973 წ.
IV კურსი 1 მარტიდან 9 აპრილამდე 1973 წ.
V კურსი 10 იანვრიდან 18 თებერვლამდე 1973 წ.

ტექნოლოგიის ფაკულტეტის

III-IV-V კურსი 4 იანვრიდან 13 თებერვლამდე 1973 წ.
VI კურსი 4 იანვრიდან 9 თებერვლამდე 1973 წ.

მექანიზაციის ფაკულტეტის

I-II კურსი 7 თებერვლიდან 14 მარტამდე 1973 წ.
III კურსი 7 თებერვლიდან 19 მარტამდე 1973 წ.
IV-V კურსი 1972 წლის 7 დეკემბრიდან 17 იანვრამდე 1973 წ.
VI კურსი 1972 წ. 7 დეკემბრიდან 7 იანვრამდე 1973 წ.

შენიშვნა: შეკრებაზე ფასიანი შეკრებულებით გამომახებული იქნებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც შეკრებამდე 20 დღით ადრე ჩაბარებენ წინა კურსის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს.

შეკრებაზე გამომახებულმა სტუდენტებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ახალი ცნობები პროფილით მუშაობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეკრებაზე არ დაიშვებიან. სტუდენტები უნდა გამოცხადდნენ (ინსტიტუტში) დეკანატში ერთი დღით ადრე რეგისტრაციაში გასატარებლად.

რექტორატი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ხაშურის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა

აცხადებს მიღებას 1972-73 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს: მეფუტკრე, მეცხოველე და მემინდვრე ტექნიკოსებს. სკოლაში მიიღებიან: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადის ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმის გამგეები, მეფუტკრეობის დარგის მუშაკები, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ და აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები სრული და არასრული საშუალო განათლების მქონენი, რომლებსაც აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შუამდგომლობა, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 7. სამი ფოტოსურათი (პასპორტი იქონიოს ხელზე).

სკოლაში ჩარიცხულთ დაენიშნებათ სტიპენდია. უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და კომუნალური მომსახურეობით. ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად სკოლაში მივლინებულს კოლმეურნეობებიდან დაერიცხებათ თვეში 20-25 შრომადღე (შრომადღის ღირებულება 1,25-დან 1,75-მდე მანეთი) და მიეცემათ დამატებით ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში.

საბუთების მიღება იწარმოებს 20 ნოემბრამდე ყოველდღე 9 საათიდან 5 საათამდე გარდა კვირა-დღისა.

სწავლა დაიწყება 21 ნოემბერს. სკოლის მისამართი: ხაშური, რუსთაველის ქუჩა № 28.

სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ტელეფონი № 27-02.

ტელევიზია

14 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — საბავშვო კინოპროგრამა — „სახლი ნოვო-ბასმანაიაზე“ და „მშვიდობით, თბილ და ვეფოსიპედო“, 12.05 — სატელევიზიო დადგმა — „სოლიარისი (I სერია), 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.20 — ახალი ამბები, 17.25 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი — „მწვანე მაშხალა“, 18.30 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 19.10 სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „2X2=X“ (ქართულ ენაზე), 19.30 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 20.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფერადი ტელევიზია — „პალიტრა“, 21.30. — „სპორტული კვირეული“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — ხაზვა (VIII — კლასელთათვის. დეტალის ესკიზი და მისი შედგენა), 17.50 — ისტორია (VIII — კლასელთათვის. დეკაბრისტთა აჯანყება), 18.35 — განცხადებები, 18.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.10 — ფერადი ტელევიზია — კინონარკვევი „კინომოყვარულთა მოგობარი“, 20.25— მხატვრული ფილმი „პოეტის სიჭაბუკე“.

15 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — სატელევიზიო ფილმი „აკ-მიორი“, 12.05 — სატელევიზიო დადგმა — „სოლიარისი“ (მეორე სერია), 16.30 — „ექვითა დასახმარებლად“, 17.15 — ახალი ამბები, 17.20 — ხალოების დასახმარებლად — ფიზიკა (კლასიკური მექანიკის განეითარება და თანამედროვე ფიზიკა. ფაკულტეტური მეცადინეობა რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის), 18.05 — მოსწავლეთათვის — „ხუთწლედების მიოგრაფია“, 18.30 — „ურდვევი კავშირი“ — ბურიატიის ასსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად — „მატერია და ცნობიერება“, 19.20 — კინონარკვევი — „ჩემი სიცოცხლე რუსეთია“, 19.40 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 20.00 — „ვრემია“— საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ზეიმსა და გზაჯვარედინებზე“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მ. ლებანიძე, 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „დაიკარგა მოწმე“, 23.30— სიმფონიური მუსიკის კონცერტი“.

მეორე პროგრამით

17.05 — მასწავლებლის საათი: მათემატიკა (მაგალითებისა და აპლიკაციების ამოხსნა რაციონალური ხერხებით, 17.50 — სკოლების დასახმარებლად — საზოგადოებამეცნიერება. (კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსი), 18.35 — განცხადებები, 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — ტექნიკურ მექანიკაში, 19.40 — ხაზვა, 20.40 — „კინოფიშა“, 21.10 — მხატვრული ფილმი — „მკვეთრი პორტრეტი“,

თეატრები

14 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დაისი.**

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელეფონები: 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-